შეტყობინება
ს/ს „სარაჯიშვილის“ აქციონერთა წლიური (მორიგი) საერთო კრების მოწვევის შესახებ.

ს/ს „სარაჯიშვილი“ იწვევს თავის აქციონერებს მორიგ საერთო კრებაზე, რომელიც ჩატარდება 2022 წლის 10 აგვისტოს 14:00 საათზე, საზოგადოების ოფისში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, სარაჯიშვილის გამზ. N 4.

დღის წესრიგი

1. ს/ს „სარაჯიშვილის“ ნებადართული კაპიტალისა და განთავსებული კაპიტალის დაზუსტების შესახებ
   (მომხსენებელი: სამეთვალყურეო საბჭოს წევრი თენგიზ ჯაფარიძე).
2. ს/ს „სარაჯიშვილის“ წესდებაში ცვლილებების შეტანისა და ამ ცვლილებების მიხედვით კრების ჩატარების თარიღისათვის კონსოლიდირებული წესდების დამტკიცების შესახებ
   (მომხსენებელი: სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ელგუჯა ბუბუტეიშვილი).
3. ს/ს „სარაჯიშვილის“ 2021 წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების, ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების და მმართველობის ანგარიშგებების დამტკიცების შესახებ.
   (მომხსენებელი: საზოგადოების ხელმძღვანელი პირი-გენერალური დირექტორი ზურაბ ბუბუტეიშვილი).
4. ს/ს „სარაჯიშვილის“ წმინდა მოგების დივიდენდებად განაწილების შესახებ (მომხსენებელი: სამეთვალყურეო საბჭოს წევრი თენგიზ ჯაფარიძე).
5. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოსა და ხელმძღვანელი ორგანოს მიერ 2021 წელს გაწეული მუშაობის შეფასების შესახებ (მომხსენებელი: სამეთვალყურეო საბჭოს წევრი გელა შენგელია).

ს/ს „სარაჯიშვილის“ ხელმძღვანელმა ორგანომ წლიური (მორიგი) საერთო კრების სააღრიცხვო დღედ დაადგინა 2022 წლის 18 ივლისი.

საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლება აქვთ, მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც სააღრიცხვო დღეს აქციონერებად ირიცხებიან.

დღის წესრიგის საკითხებზე კენჭისყრა ჩატარდება ღია კენჭისყრის გზით.

სამეთვალყურეო საბჭოსა და ხელმძღვანელი ორგანოს გადაწყვეტილებების პროექტები დღის წესრიგის საკითხებზე და აქციონერთა წლიური (მორიგი) საერთო კრებისათვის წარსადგენი სხვა დოკუმენტები გასაცნობად განთავსებული იქნება ს/ს „სარაჯიშვილის“ ვებ გვერდზე www.sarajishvili.ge .

ს/ს „სარაჯიშვილის“
ხელმძღვანელი პირი-გენერალური დირექტორი

ზურაბ ბუბუტეიშვილი

14.07.2022